



სტუდენტური ოლიმპიადა ეკონომიკაში 2017

„მომავალი ეკონომისტი“

ორგანიზატორი: ა/ო „ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრი“

ოლიმპიადის ორგანიზატორი „ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრი“ (ეპეც) არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (არასამთავრობო ორგანიზაცია ა/ო), რომელიც ქმნის ეკონომიკური პოლიტიკის საკონსულტაციო ცენტრებს და ეწევა საგანმანათლებლო-შემეცნებით საქმიანობას, კერძოდ: ბიზნესისა და ეკონომიკის საკითხებზე ატარებს ლექცია-სემინარებს, ტრენინგებს, სამეცნიერო კონფერენციებს, დებატებს, ახორციელებს საგამომცემლო და მთარგმნელობით პროექტებს. ეპეც მემორანდუმის ფარგლებში თანამშრომლობს კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტებთან, სკოლებთან, ასევე ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

სტუდენტური ოლიმპიადა ეკონომიკაში

ოლიმპიადის მიზანია ხელი შეუწყოს ეკონომიკის, როგორც საგნის პოპულარიზაციას სტუდენტებს შორის, გამოავლინოს საუკეთესო ახალგაზრდა, მომავალი ეკონომისტები და შექმნას სტუდენტებს შორის კონკურენციის ღია პლატფორმა.

ოლიმპიადაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტების ბაკალავრიატის პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე კურსის სტუდენტები. გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან შემდეგი პრიზებით: 1-ლი ადგილი - 1000 ლ.; მე-2 ადგილი - 700 ლ.; მე-3 ადგილი - 500 ლ.; მე-4 ადგილი - 400 ლ.; მე-5 ადგილი - 300 ლ. ფულადი პრიზების გარდა გამარჯვებულებს გადაეცემათ სერტიფიკატები და მედლები და დაეთმობათ დრო მედია სივრცეში, რადიო კომერსანტზე, ტელეკომპანია იბერიასა და EPEC Speaker-ში.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.olympiad.ge.